



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
ბრძანება



MES 8 23 0001562617



16/11/2023

**სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების
დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2023 წლის 18 ოქტომბრის №1392932 და 2023 წლის 07 ნოემბრის №1502098 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-11 და მე-14 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.
3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული დენტალური მედიცინის დენტალური სფეროს შესაბამისად შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნეს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადაში, გარდა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობებისა და სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელით დამატებით განსაზღვრული ვადებისა.

4. თუ ცენტრს სააკრედიტაციო განაცხადი წარედგინება დენტალური მედიცინის დეტალური სფეროს შესაბამისად შემუშავებული ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების თაობაზე, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.
5. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ





**სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების
დარგობრივი მახასიათებელი**

**უმაღლესი განათლების II საფეხური
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე**

2023 წელი



I. შესავალი

სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი¹ არის სტომატოლოგიის აკადემიური განათლების სტანდარტი. იგი ასახავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონით განსაზღვრული სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს. დენტალური მედიცინა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით განსაზღვრულია 0911-დენტალურ სფეროში (დენტალური მედიცინა).

სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი აღწერს სასწავლო პროგრამების ხასიათს, მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოსალოდნელ დონეს და აქვს სხვადასხვა მიზნობრივი გამოყენება. ის წარმოადგენს პროგრამების სტრუქტურის შემუშავებისა და განვითარების მნიშვნელოვან გარე შეფასების წყაროს, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებას, პროგრამების სტრუქტურის მოქნილობას და მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საერთო კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში ინოვაციების შემოტანას. მეორეს მხრივ, დარგობრივი მახასიათებელი უზრუნველყოფს პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმის გაუმჯობესებას, კერძოდ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგების არსებული ზოგადი სტანდარტების განხილვას და ახლებურ შეფასებას.

აღნიშნული დოკუმენტი აღწეს ყველა იმ მინიმალური კომპეტენციას, რომლებიც მოეთხოვება დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის მქონე პირს. კერძოდ, ასახავს ცოდნას, უნარებს, ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას, რომელიც ექნება სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს.

დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის/კურიკულუმის შემუშავებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, სტომატოლოგიის პროფესიაში შესვლას, დასაქმების

¹ დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს შუალედურ დოკუმენტს, რომელიც ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს აკავშირებს საგანმანათლებლო პროგრამასთან. იგი აღწერს იმ მინიმალურ სწავლის შედეგებს, რომელიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელს, თუმცა არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს. ამასთან, დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას შეუძლია დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული სწავლის შედეგების სტრუქტურულად განსხვავებულად ჩამოყალიბება.



მხარდაჭრას, პროფესიული განვითარების საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებისა და მკურნალობის მეთოდების გამოყენებას პრაქტიკაში და მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელება - Subject Benchmark Statement of Dentistry

დარგობრივი მახასიათებლის შექმნის მიზანია ამ დოკუმენტის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 წელი.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობა (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ) და სტომატოლოგიის პროფესიაში შესვლა (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ) რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის მიხედვით პროფესიის დასახელებაა ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები (226) სტომატოლოგები ISCO-08-ის კოდი -2261.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისთვის;**
- **აბიტურიენტთათვის,** რომლებიც დაინტერესებულნი არიან სტომატოლოგიის შესწავლით;
- **სტუდენტთათვის,** რომლებიც სწავლობენ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- **უცხოელ სტუდენტთათვის,** რომელთაც გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში განზრახული აქვთ, სწავლა განაგრძონ საქართველოში



სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

- **დამსაქმებელთათვის**, რომლებიც დაინტერესებულნი არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- განათლების სფეროს **ექსპერტთათვის**, რომლებსაც პერიოდულად ევალება წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, მონიტორინგი ან აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

II . სწავლის სფეროს აღწერა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საექიმო საქმიანობა არის „მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტების და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე, საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება“ (მუხლი 5).

სტომატოლოგია წარმოადგენს პროფესიონალურ კლინიკურ დისციპლინას, არის მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს ფიზიოლოგიას, პათოლოგიას, დაავადებების ღრულ დიაგნოსტიკას, მიმდინარეობას, მკურნალობას, მართვას, პრევენციას და ამ დაავადებათა ზემოქმედებას ადამიანის ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

პირის ღრუს ჯანმრთელობა ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კბილის ჯანმრთელობა. პირის ღრუს მდგომარეობა გავლენას ახდენს ინდივიდის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სხვადასხვა აქტივობაზე, სოციალურ ინტეგრაციაზე.

მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის (WHO) განმარტებით პირის ღრუს ჯანმრთელობა არის: „მდგომარეობა როდესაც ადამიანი თავისუფალია პირის ღრუს და სახის მიდამოს ტკივილისგან, პირის ღრუს და ხახის კიბოსგან, პირის ღრუს ინფექციებისა და წყლულებისგან, პაროდონტის დაავადებებისგან, კბილის დაზიანებებისგან, კბილის დაკარგვისგან და სხვა



დაავადებებისგან და დარღვევებისგან, რომელიც ზღუდავს ინდივიდის კბერის, ღეჭვის, ღიმილის, ლაპარაკის შესაძლებლობას და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.“

პირის ღრუს ჯანმრთელობა არის ადამიანის უფლება, ზოგადი ჯანმრთელობის განუყოფელი ნაწილი და აუცილებელი პირობა ზოგადი კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხისთვის.

მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციის (FDI) განმარტებით, პირის ღრუს ჯანმრთელობა არის მრავლისმომცველი და მოიცავს ლაპარაკის, ღიმილის, ყნოსვის, გემოს შეგრძნების, შეხების, ღეჭვის, ყლაპვის შესაძლებლობებს და სახეზე მრავალგვარი ემოციის გამოხატვას თავდაჯერებულობით, თავისა და სახის მიდამოს (თავი, სახე, და პირის ღრუ) ტკივილის, დისკომფორტის გარეშე.

პირის ღრუს ჯანმრთელობა, ასაკის მიუხედავად, აუცილებელი პირობაა ზოგადი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის.

პირის ღრუს დაავადებები მიეკუთვნება ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს კაცობრიობაში. „დაავადებათა გლობალური გავრცელების (GBD) კვლევებით დადგენილია, რომ პირის ღრუს დაავადებები აღენიშნება 3,9 მილიარდ ადამიანს მსოფლიოში. კბილის კარიესი და პაროდონტის დაავადებები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ედენტულიზმის განვითარებაში. სტომატოლოგიური დაავადებების მაღალი გავრცელების გამო მსოფლიო მოსახლეობის 22-53%-ს აღენიშნება ედენტულიზმი (დარგის ძირითადი მარეგულირებელი და კონცეპტუალური დოკუმენტები N11).

სტომატოლოგია ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელოვანი, მუდმივად განახლებადი მიმართულებაა და ემსახურება პირის ღრუს ჯანმრთელობის დაცვასა და შენარჩუნებას. პირის ღრუში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები, ყბა-სახის მიდამოს განვითარების ანომალიები, კბილის კარიესი, მისი გართულებები, აგრეთვე პაროდონტის ქსოვილთა დაავადებები იწვევენ არა მხოლოდ კბილების დაკარგვას და ყბა-კბილთა სისტემის ფუნქციების მოშლას, სახის ფორმის შეცვლას, ფსიქო-ემოციურ სტრესს და სიცოცხლის ხარისხის დაქვეითებას, არამედ ორგანიზმის მთელი რიგი ზოგადი პათოლოგიების განვითარებას. პირის ღრუსა და ორგანიზმის ზოგად ჯანმრთელობას შორის არსებობს მჭიდრო კორელაციები. საყოველთაოდ ცნობილია სტომატოლოგიურ დაავადებათა კავშირი ორგანიზმის ზოგად პათოლოგიებთან: საჭმლის მომწელებელი, სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემების, ასევე ენდოკრინულ, ონკოლოგიურ, ინფექციურ და სხვა დაავადებებთან. ამ დაავადებათა უმრავლესობის პირველადი მანიფესტაციის ადგილი ხშირად პირის ღრუსა და სახის უპითელური საფარველია. პირის ღრუს ორგანოები კავშირშია სასიცოცხლოდ და ცხოვრების ხარისხისათვის ისეთ



მნიშვნელოვან ორგანოებთან, როგორცაა თავის ტვინი, მხედველობის და სმენის ორგანოები. თავის მხრივ, პირის ღრუს დაავადებებმა შეიძლება გამოიწვიონ ინფექციური, ანთებითი პროცესები რიგ ორგანოებსა და ორგანოთა სისტემებში და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. არსებობს მრავალი რისკ-ფაქტორი, რომელიც საერთოა პირის ღრუსა და ზოგადი/სისტემური დაავადებების განვითარებისთვის (თამბაქო, შაქარი, ალკოჰოლი, სოციო-ეკონომიკური სტატუსი). შედეგად, რისკ-ფაქტორების ელიმინაცია, რომლის საფუძველია პრევენცია, შეამცირებს არა მხოლოდ პირის ღრუს დაავადებებს, არამედ ასევე დიდ გავლენას მოახდენს არაგადამდები დაავადებების გლობალურ გავრცელებაზე, ჯანდაცვის სისტემებზე და ზოგადი განვითარების პროგრესზე.

აღნიშნული ნათლად წარმოაჩენს მაღალხარისხიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტომატოლოგიური განათლების განხორციელებისას სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში საბაზისო ბიოსამედიცინო დისციპლინებთან ერთად ზოგადსამედიცინო დისციპლინების გათვალისწინების აუცილებლობას.

სტომატოლოგია სწრაფად განვითარებადი დარგია. ტექნოლოგიური პროგრესი აქტიურად აისახება პრაქტიკოსი სტომატოლოგის ყოველდღიურ საქმიანობაზე. სტომატოლოგია მოიცავს რამდენიმე ძირითად მიმართულებას: თერაპიული სტომატოლოგია, ქირურგიული სტომატოლოგია, ორთოპედიული სტომატოლოგია, ორთოდონტია, პედიატრიული სტომატოლოგია, ყბა-სახის ქირურგია.

ამ მიმართულებებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად აუცილებელია საფუძვლიანი თეორიული ცოდნის მიღება, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა და პროფესიული კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისება, თანამედროვე გაიდლაინებისა და მტკიცებითი სტომატოლოგიის მონაცემების გამოყენება, ასევე მნიშვნელოვანი ღირებულებების - პაციენტებთან კომუნიკაციის, სამედიცინო ეთიკის და დეონტოლოგიის, სამედიცინო მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის უნარების ჩამოყალიბება. ეთიკა სტომატოლოგიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. ისეთი ეთიკური პრინციპები, როგორცაა ადამიანთა პატივისცემა, ინფორმირება და ნდობა, კონფიდენციალობა - სტომატოლოგისა და პაციენტის ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს. აუცილებელია, რომ ყველა სტომატოლოგმა გააცნობიეროს საჭიროება, იმოქმედოს ყოველთვის გონივრულად და პასუხისმგებლობით, საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებში. სტომატოლოგიური პროფესიის ეთიკის უმთავრესი საერთაშორისო პრინციპია: „პაციენტის საჭიროებანი უპირველესი საზრუნავია“.



წინამდებარე დოკუმენტით სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი/დიპლომამდელი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები განისაზღვრება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების საბჭოს და მოქმედი კანონმდებლობის, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) ხარისხის განვითარების გლობალური სტანდარტების, ევროპის სტომატოლოგიური განათლების ასოციაციის (ADEE), მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციის (FDI) გაიდლაინებისა და სხვა კონცეპტუალური დოკუმენტების საფუძველზე.

2.1. დარგის ძირითადი მარეგულირებელი და კონცეპტუალური დოკუმენტები

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
2. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ
3. DIRECTIVE 2005/36/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL
4. Leader Self Evaluation Report by Association for Dental Education in Europe (ADEE);
5. ADEE 2017: The Profile of Undergraduate Dental Education in Europe;
6. Cowpe JG. DentCPD, Dental Continuing Professional (CPD) Reference Manual. European Journal of Dental Education. 2013; 17Suppl i-iv, 1-84.
7. Harden, R. Laidlaw J. Essential skills for a medical teacher: an Introduction to teaching and learning in Medicine. Chapter 6: the need for an outcomes-based approach. Elsevier Health Sciences 2012.
8. World Health Organization. SEVENTHY-FIFTH WORLD HEALTH ASSEMBLY. A75/10 Add.1. 27 April 2022, Annex 3, Draft Global Strategy on Oral Health, action plan 2030
9. A Guide to Assessment in Dental Education. University of Bristol. Julie Williams, Sarah Baillie.
10. Global epidemiology of dental caries and severe periodontitis – a comprehensive review. J Clin Periodontol. Frencken J. E., Sharma P., Stenhouse L., Green D., Lavery D., Dietrich T. 2017; 44(18): 94–105;
11. Global prevalence of edentulism and dental caries in middle-aged and elderly persons: A systematic review and meta-analysis
12. R. Borg-Bartolo, A. Rocuzzo, P. Molinero-Mourelle, M. Schimmel, K. Gambetta-Tessini, A. Chaurasia, R.B. Koca-Ünsal, C. Tennert, R. Giacaman, G. Campus. Journal of Dentistry
13. Volume 127, December 2022. <https://doi.org/10.1016/j.jdent.2022.104335>
14. Oral health worldwide. A report by FDI World Dental Federation. 2016.
15. <https://www.fdiworlddental.org/fdis-definition-oral-health>



16. Dental Ethics Manual 2
17. Authors: Wolter Brands, Sudeshni Naidoo, Suzette Porter, Michael Sereny, Ward van Dijk, Jos Welie. FDI World Dental Federation, September 2018
18. <https://www.who.int>

2.2. დასაქმების შესაძლებელი სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები

2.2.1. დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები:

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს უმცროს ექიმად (სტომატოლოგად), რომელიც ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებით და პასუხისმგებლობით (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მ.5). საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს: ა) გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მ.17) და/ან ბ) გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, დაკავდეს პედაგოგიური და/ან სამეცნიერო საქმიანობით.

2.2.2. სპეციალური მოთხოვნები:

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მ. 7) თანახმად, „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.“

2.2.3. მახასიათებლის ძალაში შესვლის ვადები

დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე



- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული დეტალური სფეროს-დენტალური მედიცინა შესაბამისი პროგრამა/პროგრამები უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანოს წინამდებარე მახასიათებლის დამტკიცებიდან 1 წლის ვადაში გარდა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობებისა და დოკუმენტში მითითებული დამატებით განსაზღვრული ვადებისა
- დაწესებულება ვალდებულია, ახალი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, შესაბამისობაში იყოს დარგობრივი მახასიათებლის ყველა მოთხოვნასთან

2.3. ტერმინებისა და აბრევიატურების განმარტება

- CBCR (Case-Based Clinical Reasoning) - შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა
- CBD (Case-based Discussion) - შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია
- CBL (Case-Based Learning) - შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება
- DOPS (Direct Observation for Procedural Skills) - პირდაპირი დაკვირვება პროცედურული უნარების დემონსტრირებაზე
- EPAs (Entrustable Professional Activities) - მინდობილი პროფესიული აქტივობები
- Mini-CEX (Mini Clinical Evaluation Exercise) - მინი-კლინიკური სავარჯიშოს შეფასება
- OSCE (Objective Structured Clinical Examination) - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა
- OSPE (Objectively Structured Practical Exam) - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა
- PBL (Problem-Based Learning) - პრობლემის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება
- TBL (Team-Based Learning) - გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება
- WPBA (Workplace based assessment) - შეფასება სამუშაო ადგილზე

2.4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები



(ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე როგორც ახალი ასევე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებისთვის)

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონდებლობით დადგენილი წესით აბიტურიენტის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, უცხო ენის ცოდნის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის შედეგად დადასტურებული, უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა.

ან

- უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაზე მინიმუმ B1 დონის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის ქონა

ან

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაზე მიღებული განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისთვის შესაბამისი დოკუმენტის (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა) წარმოდგენისას და ასევე საქართველოს მოქალაქისთვის, რომელმაც უცხო ენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება, ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა) რომლითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა.

ზემოაღნიშნული დაშვების წინაპირობების შესრულებისა და დაცვის შემოწმებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესების ფარგლებში ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

2.5 სტომატოლოგიური განათლების მიმოხილვა საზღვარგარეთის ქვეყნებში

ევროპის უნივერსიტეტებში სტომატოლოგიური განათლება ევროპის სტომატოლოგიური განათლების ასოციაციის (Association for Dental Education in Europe (ADEE)) მიერ მოწოდებული



რეკომენდაციებით განისაზღვრება, რომელსაც ოთხი ძირითად საფუძველი აქვს - პროფესიონალიზმი, უსაფრთხო და ეფექტიანი კლინიკური პრაქტიკა, პაციენტზე ორიენტირებული მკურნალობა და ბოლოს, სტომატოლოგიის როლი საზოგადოებაში.

ქვემოთ მოწოდებულია ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტის მაგალითი სასწავლო სემესტრების, კრედიტებისა და კურიკულუმის გათვალისწინებით.

- **გერმანიის** 30 უნივერსიტეტში სტომატოლოგიის სწავლება მიმდინარეობს ერთი საერთო წესით: სწავლება მოიცავს 10 სემესტრს. დამატებით 2 სემესტრი სტუდენტს ეძლევა სახელმწიფო გამოცდისათვის მოსამზადებლად (მომავალი სტომატოლოგი აბარებს 16 სახელმწიფო გამოცდას). აღსანიშნავია, რომ 5 სასწავლო სემესტრის შემდეგ ბარდება საეტაპო გამოცდა (ე.წ. „ფიზიკუმი“): 1. ანატომია, ნეირო ანატომია 2. ჰისტოლოგია 3. ფიზიოლოგია 4. ბიოქიმია 5. ინტეგრირებული საფანტომო სტომატოლოგია. საეტაპო გამოცდაზე გასვლის უფლება სტუდენტს აქვს 2-ჯერ (ძირითადი და ერთი დამატებითი). სწავლის შემდგომ, დამასრულებელ ეტაპზე გარდა პროფილური საგნებისა (რესტავრაცია, ენდოდონტია, პაროდონტოლოგია, პირის ღრუს პათოლოგიები, პედიატრიული სტომატოლოგია, ორთოდონტია, პირის ღრუს ქირურგია და ყბა-სახის ქირურგია) სახელმწიფო გამოცდა ტარდება შემდეგ დისციპლინებში: შინაგანი სნეულებანი, ფარმაკოლოგია და ტოქსიკოლოგია, პათოლოგია, მიკრობიოლოგია-ვიროლოგია, დერმატოლოგია-ალერგოლოგია, ყელ-ყურის ცხვირის დაავადებები. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მომავალ სტომატოლოგს ენიჭება Zahnarzt-ის ხარისხი, რაც კლინიკური საქმიანობის დაწყების უფლებას აძლევს, მაგრამ თუ იგი დამატებით სათანადო კვლევით ნაშრომსაც შეასრულებს (ავსტრიის სადიპლომო ნაშრომის მსგავსად) და მის დაცვას სათანადო კომისის წინაშე მოახდენს, მაშინ კურსდამთავრებული მიიღებს ხარისხს - Dr.Med.Dent.
- **იტალიაში**, სიენას უნივერსიტეტში, სტომატოლოგია 6 წელი ისწავლება. სტუდენტი, შესაბამისად, აგროვებს 360 კრედიტს. პირველ წელს სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა საბაზისო საგანს, როგორცაა ქიმია, ბიოლოგია, უცხო ენა, ანატომია და ჰისტოლოგია, ქცევითი მეცნიერებები და კრიტიკული აზროვნება; სამედიცინო სტატისტიკა, გამოყენებითი ფიზიკა და ინფორმაციის გადამუშავება; უსაფრთხო სამუშაო გარემოს ნორმები. მეორე წლის პროგრამას შემდეგი დისციპლინები



წარმოადგენს: რადიოლოგია, ბაზისური სტომატოლოგია, ბიოქიმია და ბიოლოგია, ზოგადი პათოლოგიები და ონკოლოგია, ფიზიოლოგია და პათოლოგიური ანატომია. მესამე წელს ისწავლება სტომატოლოგიური მასალები და ორთოპედიული ციფრული ტექნოლოგიები, შინაგანი მედიცინა 1, მიკრობიოლოგია და ჰიგიენა, პირის ღრუს პათოლოგიები და დერმატოლოგია, სტომატოლოგიური მასალები და ორთოპედიული ლაბორატორიული ტექნოლოგიები, ფარმაკოლოგია. მეოთხე წელს - შინაგანი მედიცინა 2, გნათოლოგია, ნევროლოგია და ფსიქიატრია, პირის ღრუს მეცნიერებები, პირის ღრუს ქირურგია. მეხუთე წელს ისწავლება ორთოპედია, იმპლანტოლოგია, ორთოდონტია, პედიატრიული სტომატოლოგია, პაროდონტოლოგია, რესტავრაციული სტომატოლოგია, ყბა-სახის პათოლოგიები და მათი მკურნალობა. მეექვსე წელი განკუთვნილია კლინიკური პრაქტიკისთვის (ინტერნი) და ფინალური გამოცდისთვის. მისანიჭებელი ხარისხი - DDS – Doctor of Dental Surgery

- **საფრანგეთში**, პარიზის დეკარტის უნივერსიტეტში, სტომატოლოგიის სწავლებისთვის დათმობილია 6 წელი და სტუდენტი, შესაბამისად, 360 კრედიტს აგროვებს. სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, სწავლის დაწყებამდე, აბიტურიენტები გადიან ექთნად მუშაობის ორკვირიან კურსს მულტიპროფილური კლინიკის რომელიმე დეპარტამენტში. პირველ სემესტრში ისინი შეისწავლიან ემბრიოლოგიას, ანატომიას, სამეცნიერო და სტომატოლოგიურ ინგლისურ ენას. მეორე სემესტრის საგნები იგივეა, თუმცა, სტუდენტები კვირაში ნახევარი დღე მე-4, მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტებთან ასისტენტობენ და მულაჟებზე მუშაობენ. მესამე და მეოთხე სემესტრში ენდოდონტიურ და ორთოპედიულ მულაჟებზე ასრულებენ სამუშაოებს და კვირაში ერთხელ დადიან კლინიკაში. მეხუთე და მეექვსე სემესტრში ასრულებენ ორთოპედიულ ლაბორატორიულ სამუშაოებს. მეშვიდე და მერვე სემესტრში იწყებენ პედიატრიულ სტომატოლოგიას, პროფილაქტიკურ მკურნალობას, ექსტრაქციების, ბჟენების და პულპოტომიის კეთებას. ასევე, სწავლობენ ბავშვების მართვას მალხენი აირით. მეცხრე და მათე სემესტრში, კლინიკურ სწავლებასთან ერთად იწყებენ ასისტირებას სპეციალიზებულ სტომატოლოგიურ კლინიკებში. მეხუთე წელს სტუდენტმა, როგორც ქირურგმა, სტომატოლოგიურ კლინიკაში უნდა იმუშავოს 250 საათი. მეექვსე წელი ეთმობა თეზისის წერასა და სტატიის გამოქვეყნებას სტუდენტისთვის საჭირო თემაზე.

მისანიჭებელი ხარისხი DDM – Doctor of Dental Medicine



➤ **ავსტრია** - ავსტრიაში სტომატოლოგის განათლებას 3 სახელმწიფო (ვენის, ინსბრუკის და გრაცის) და 2 კერძო (ზიგმუნდ ფროიდის უნივერსიტეტი, ვენა და დანუბეს უნივერსიტეტი, კრემსი) უნივერსიტეტებში ეუფლებიან. ვენისა და ინსბრუკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტებში სტომატოლოგიაში 120 (80 და 40 შესაბამისად) ადგილია გამოყოფილი, გრაცისაში კი 24. განათლება 12 სემესტრს მოიცავს. ვენისა და ინსბრუკის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტებში სასწავლო კურიკულუმი ფაქტობრივად იდენტურია, დანარჩენებში - განსხვავებული.

სწავლის პროცესი 3 ეტაპს მოიცავს. თითოეული ეტაპი შემდეგის პრერეკვიზიტია და საეტაპო გამოცდებით მთავრდება. აღნიშნული გამოცდების ჩაბარება შემდეგ ეტაპზე გადასვლის უცილებელი წინაპირობაა.

I-ეტაპი 2 სემესტრს მოიცავს. ამ ხნის მანძილზე სტუდენტი სწავლობს: ა) სტომატოლოგიის პროპედევტიკას და ბ) საბუნებისმეტყველო საგნებს. ორივე სემესტრის შემდეგ სტუდენტი შემაჯამებელ გამოცდებს, iKMP1 და iKMP2-ს აბარებს (Kumulative Modulprüfung 1,2).

II-ეტაპი 4 სემესტრისგან შედგება. მე-3 და მე-4 სემესტრებში სტუდენტი სწავლობს: ა) სხეულის ფუნქციასა და სტრუქტურას, ბ) გენდერულ მედიცინას, გ) მასალათმცოდნეობას, დ) სხეულის ფუნქციათა რეგულაციას, ე) მეტყველებას, ვ) ენდოკრინულ სისტემასა და სისხლს, ზ) პათო-ფარმაკოლოგია 1.

მე-5 და მე-6 სემესტრებში ისწავლება: ა) ინფექციური დაავადებები, ბ) იმუნოლოგია-ფარმაკოლოგია, გ) გულ-სისხლძარღვთა სისტემა, დ) საჭმლის მომნელებელი სისტემა, ე) სუნთქვის სისტემა, ვ) პათოფარმაკოლოგია 2, ზ) ნერვული სისტემა, თ) კანის დაავადებები, ი) მიკროპათოლოგია.

თითოეული სემესტრი საეტაპო გამოცდებით (iKMP3, iKMP4, iKMP4A და iKMP4B) მთავრდება.

III-ეტაპი სწავლის დამასრულებელი ეტაპია და მოიცავს მე-7,8,9,10,11 და 12 სემესტრებს. ამ ხნის მანძილზე სტუდენტი მხოლოდ სტომატოლოგიურ დისციპლინებს ეუფლება (თერაპია, ორთოპედია, პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგია, ორთოდონტია). გარდა ამისა, სწავლის III ეტაპზე აუცილებელია მინიმუმ 72 კვირიანი კლინიკური საქმიანობა პაციენტებთან და სადიპლომო ნაშრომის შესრულება და მისი დაცვა. III ეტაპის დასრულების შემდეგ ინიშნება სახელმწიფო გამოცდა 4 სტომატოლოგიურ საგანში.



სტუდენტს თითოეული საგნის მხოლოდ 3-ჯერ ჩაბარების უფლება აქვს 4 თვიანი ინტერვალით. გამოცდების ჩაბარებისა და სადიპლომო ნაშრომის დაცვის შემდეგ მსწავლელს ენიჭება Dr.Med.Dent-ის ხარისხი.

- **ესპანეთში** დიპლომური სტომატოლოგიური განათლება მოიცავს 5 წელს და 300 კრედიტს. პირველ წელს სტუდენტები სწავლობენ ადამიანის ანატომიასა და ემბრიოლოგიას, ბიოსტატისტიკას, ეპიდემიოლოგიასა და ჯანდაცვას, ბიოქიმიას, იმუნოლოგიას, მიკრობიოლოგიას, ფსიქოლოგიასა და კომუნიკაციას, ჰისტოლოგიას, უცხო ენას, ბიოლოგიას, ფიზიოლოგიასა და პირის ღრუს ანატომიას. მეორე კურსზე - უცხო ენას, რადიოლოგიას, ეთიკასა და ბიოეთიკას, სასამართლო სტომატოლოგიას, პათოლოგიურ ანატომიას, ერგონომიკას, სტომატოლოგიურ ინსტრუმენტებსა და მასალებს, შინაგან მედიცინას/ქირურგიულ პათოლოგიებს 1, პრევენციულ სტომატოლოგიას, შესავალს სტომატოლოგიაში, ფარმაკოლოგიას, ანესთეზიოლოგიასა და რეანიმაციას. მესამე კურსზე - შინაგან მედიცინას/ ქირურგიულ პათოლოგიებს 2, პირის ღრუს ქირურგიას, კბილების პათოლოგიებსა და მკურნალობას, ორთოპედიას 1, ორთოდონტიას 1, შინაგან მედიცინას/ ქირურგიულ პათოლოგიებს 3. მეოთხე კურსზე - პირის ღრუს მედიცინას, კბილების პათოლოგიებსა და მკურნალობას, ორთოდონტიას 2, ორთოპედიას 2, სტომატოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ პათოლოგიებს, პაროდონტოლოგიას, პირის ღრუს ზეგავლენას სისტემურ დაავადებებზე, პედიატრიულ სტომატოლოგიას, სპეციალური საჭიროებების მქონე პაციენტების სტომატოლოგიურ მკურნალობას. მეხუთე კურსზე სტუდენტებს მთელი წლის განმავლობაში აქვთ პრაქტიკული სამუშაოები როგორც მოზრდილთა, ისე პედიატრიულ კლინიკებში. ასევე, სწავლობენ გერონტოლოგიას, გადაუდებელ სტომატოლოგიას, ესთეტიკურ სტომატოლოგიას, ციფრულ სტომატოლოგიასა და უახლეს ტექნოლოგიებს, პაროდონტოლოგიას. მეხუთე კურსის მეორე სემესტრში არჩევითად შეუძლიათ შეისწავლონ სპორტული სტომატოლოგია (პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამოს ტრავმული დაზიანებების პრევენცია და მკურნალობა), თეოლოგია, სტომატოლოგია და სწორი კვება.

მისანიჭებელი ხარისხი DDM –Doctor of Dental Medicine

- **ლატვიის** უნივერსიტეტში დიპლომური სტომატოლოგიის სწავლება 5 წელს და მოიცავს 300 კრედიტს. სტუდენტები შეისწავლიან ისეთ საბაზისო/სავალდებულო საგნებს,



როგორცაა ბიოქიმია, ადამიანის ფიზიოლოგია, ადამიანის ანატომია, ფარმაცოლოგია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და კოგნიტური მეცნიერებები, თავისა და კისრის ანატომია, მემკვიდრული დაავადებები, შინაგანი მედიცინა 1 და 2, იმუნოლოგია, დერმატო-ვენერიული დაავადებები, ემბრიოლოგია, მიკრობიოლოგია, ნევროლოგია, სასამართლო მედიცინა, ოფთალმოლოგია და ოტორინოლარინგოლოგია, ორგანული ქიმია, ჯანდაცვა, ეპიდემიოლოგია, შესავალი კვლევით მეთოდოლოგიაში, ჰისტოლოგია, გარემოს დაცვა, ზოგადი პათოლოგიები, უჯრედის ბიოლოგია. კლინიკური სტომატოლოგიის შესავალი მოიცავს სტომატოლოგიურ მასალებს, კბილების ანატომიას და მის მოდელირებას ცვილით, პირის ღრუს ფიზიოლოგიას, პრეკლინიკურ I, II და III კურსებს, პროფესიულ ეთიკას, კვებით მეცნიერებასა და მის გავლენას პირის ღრუს ჯანმრთელობაზე. კლინიკური სტომატოლოგია მოიცავს პედატრიულ სტომატოლოგიას, სტომატოგნათიურ ფუნქციას, ენდოდონტიას, გერონტოლოგიას, კარიესოლოგიას, პაროდონტოლოგიას, რადიოლოგიას, ორთოდონტიას, პირის ღრუს მედიცინას, პირის ღრუს ქირურგიასა და ტკივილის მართვას, პრევენციულ სტომატოლოგიას, ორთოპედიას, დაავადებების დიაგნოსტიკასა და მკურნალობის გეგმის შედგენას. გარდა ამისა, სტუდენტები ხუთივე კურსის მანძილზე პაციენტებთან გადიან კლინიკურ პრაქტიკას სტომატოლოგიურ კლინიკაში. დიპლომური სწავლების დასასრულებლად მოეთხოვებათ კვლევითი პროექტის დაწერა და ფინალური გამოცდის ჩაბარება. სტუდენტებს არჩევითად შეუძლიათ ლათინური ენის შესაწავლა.

მისანიჭებელი ხარისხი DDM –Doctor of Dental Medicine

- **კვიპროსის** ევროპულ უნივერსიტეტში სწავლება გრძელდება 5 წელიწადს და მოიცავს 300 კრედიტს. პირველ კურსზე სტუდენტები შეისწავლიან ანატომიას (1 და 2), ფიზიოლოგიას (1 და 2), ჰისტოლოგიას/ემბრიოლოგიას (1 და 2), უჯრედის ბიოლოგიას, გენეტიკას, სამედიცინო ბიოქიმიას, სტომატოლოგიურ ეთიკას, ბიოსტატისტიკასა და ეპიდემიოლოგიას, კბილების მორფოლოგიას, სტომატოლოგიურ ბიომასალებსა და ტექნოლოგიებს, ბიოქიმიას. მეორე კურსზე - მიკრობიოლოგიას, იმუნოლოგიას, პათოფიზიოლოგიას, ფარმაცოლოგიას, ქირურგიის პრინციპებს, კბილის მაგარი ქსოვილების ბიოლოგიასა და პათოლოგიებს, კვებითი მეცნიერებების ფუნდამენტს, პრევენციულ სტომატოლოგიას, შინაგანი მედიცინის პრინციპებს, ზოგად თერაპიას, პირველად დახმარებას, ოპერაციულ სტომატოლოგიას, ენდოდონტიას, მოუხსნელ



ორთოპედიულ კონსტრუქციებს, მოსასხსნელ ორთოპედიულ კონსტრუქციებს, პაროდონტოლოგიას, პირის ღრუსა და ყბა-სახის რადიოლოგიას, კარიესოლოგიასა და პირის ღრუს ეკოლოგიას, სტომატოგნათიური სისტემის ფიზიოლოგიას. მესამე კურსზე - ოპერაციულ სტომატოლოგიას, ენდოდონტიას, პაროდონტოლოგიას, პირის ღრუს ქირურგიას, პირის ღრუს პათოლოგიებს, ციფრულ სტომატოლოგიას და ციფრულ დაგეგმარებას, მოუხსნელ და მოსასხსნელ ორთოპედიულ კონსტრუქციებს, სტომატოგნათიური სისტემის (პირის ღრუს და ყბა-სახის მიდამო) ფიზიოლოგიას, პედიატრიულ სტომატოლოგიას, სტომატოლოგიურ ანესთეზიოლოგიას, ერგონომიკასა და ინფექციის კონტროლს, ქცევით და კომუნიკაციურ უნარებს. მეოთხე კურსზე - ოპერაციულ სტომატოლოგიას, ენდოდონტიას, მოუხსნელ და მოსასხსნელ ორთოპედიულ კონსტრუქციებს, პაროდონტოლოგიას, პირის ღრუს ქირურგიას, პირის ღრუს პათოლოგიებს, პედიატრიულ სტომატოლოგიას, ორთოდონტიას, ლიტერატურის კრიტიკულ მიმოხილვას, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის პათოლოგიების შესავალს. მეოთხე კურსის პირველ სემესტრში სტუდენტებს შეუძლიათ დამატებით აირჩიონ 1 საგანი ჩამოთვლილთაგან: სტომატოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, სასამართლო მედიცინა, სტომატოლოგიური მარკეტინგი და მენეჯმენტი, სტომატოლოგიური კლინიკის მართვა. მეხუთე კურსზე შესასწავლ საგნებს წარმოადგენს: ოპერაციული სტომატოლოგია, ენდოდონტია, მოუხსნელი და მოსასხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციები, პაროდონტოლოგია, პირის ღრუს ქირურგია, პირის ღრუს პათოლოგიები, პედიარიული სტომატოლოგია, ორთოდონტია, ყბა-სახის ქირურგია, გერიატრიული სტომატოლოგია, მეხუთე კურსზე სწავლების პროცესში ინტეგრირებულია კლინიკური სემინარები 1 და 2. მისანიჭებელი ხარისხი DDM –Doctor of Dental Medicine



III სწავლის შედეგები

N	კომპეტენცია	კომპეტენციის აღწერა	კომპეტენციის მისაღწევად რეკომენდებული სწავლების და სწავლის მეთოდები	კომპეტენციის შეფასების რეკომენდებული მეთოდები
დარგობრივი ცოდნა				
1.	საბაზისო ბიოსამედიცინო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა	<p>საბაზისო ბიოსამედიცინო მეცნიერებები</p> <ul style="list-style-type: none"> ადამიანის (მათ შორის თავის, კისრისა და პირის ღრუს) აგებულება (ანატომია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია) ადამიანის ორგანიზმის (მათ შორის პირის ღრუს) ფუნქციონირება (ფიზიოლოგია) ადამიანის ორგანიზმის (მათ შორის პირის ღრუს) მეტაბოლიზმი და ჰორმონული ფუნქცია (ბიოქიმია) ადამიანის ორგანიზმის (მათ შორის პირის ღრუს) იმუნური ფუნქცია და მიკრობიოლოგია (იმუნოლოგია, მიკრობიოლოგია) სამედიცინო ბიოლოგია (უჯრედის ბიოლოგია, პარაზიტოლოგია) <p>კლინიკური მეცნიერებები</p> <ul style="list-style-type: none"> ორგანიზმის (მათ შორის სტომატოლოგიური) დაავადებების 	<p>მინიმალური სტანდარტი</p> <ul style="list-style-type: none"> ლექციები (მათ შორის ინტერაქტიული) შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL) როლური სწავლება (ექიმისა და პაციენტის როლების შესრულება) პრაქტიკული, სემინარული და ლაბორატორიული მუშაობა <p>რეკომენდებული სტანდარტი</p> <ul style="list-style-type: none"> პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) 	<p>მინიმალური სტანდარტი</p> <ul style="list-style-type: none"> ზეპირი /წერიტი გამოცდა (ერთი და/ან მრავალპასუხიანი ტესტები <p>რეკომენდებული სტანდარტი</p>



		<p>პათოგენეზური მექანიზმები და ამ პროცესთა მორფო-მოლეკულური საფუძვლები (პათოლოგია)</p> <ul style="list-style-type: none">• ინფექციური დაავადებები (მათ შორის სტომატოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით)• გენეტიკა და მემკვიდრული დაავადებები (სტომატოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით)• შინაგანი დაავადებების (მოზრდილთა და ბავშვთა) დიაგნოსტიკისა და მართვის ზოგადი პრინციპები• ქირურგიული დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ძირითადი მეთოდები• პრევენციული მედიცინა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა• პირველადი ჯანდაცვის რგოლში მუშაობისა და პირველადი დანმარების აღმოჩენის პრინციპები და გამოყენებული საშუალებები• წამლების (მათ შორის სტომატოლოგიაში გამოყენებული) ჯგუფები, მათი დანიშნულება, ურთიერთმოქმედება და გვერდითი ეფექტები• სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა• კბილის კარიესის გავრცელების, გენეზის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ძირითადი	<ul style="list-style-type: none">• გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება (TBL)• შემთხვევებზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (CBCR)• შებრუნებული კლასი (საკლასო ოთახი, Flipped classroom)• სწავლება პაციენტის საწოლთან (Chairside, Bedside teaching)	<ul style="list-style-type: none">• გადამლილი წიგნის (Open -book exam) ე.წ. წიგნში ჩახედვის მეთოდის გამოყენება• OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა)
--	--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------



	<p>პრინციპები და საშუალებები მოზრდილებსა და ბავშვებში</p> <ul style="list-style-type: none">• ენდოლონტიური დაავადებების გავრცელების, გენეზის და მკურნალობის ძირითადი პრინციპები და საშუალებები მოზრდილებსა და ბავშვებში• პაროდონტის კომპლექსის დაავადებათა გავრცელების, გენეზის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ძირითადი პრინციპები და საშუალებები მოზრდილებსა და ბავშვებში• პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა (პირის ღრუს პათოლოგიების) გავრცელების, გენეზის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ძირითადი პრინციპები და საშუალებები მოზრდილებსა და ბავშვებში• ნაწილობრივი და სრული ედენტულიზმი, მისი ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგია, მართვის ძირითადი მეთოდები და საშუალებები• ყბა-კბილთა სისტემის ქსოვილთა და ორგანოთა მორფო-ფუნქციური ურთიერთკავშირის (გნათოლოგიის) ძირითადი პრინციპები და მისი როლი კბილთა პირდაპირი და არაპირდაპირი რესტავრირებისას• ბავშვთა და მოზრდილთა პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს		
--	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--



		<p>ოდონტოგენური და არაოდონტოგენური დაავადებები, განვითარების თანდაყოლილი მანკები, მათი დიაგნოსტიკა, გავლენა ორგანიზმის ჯანმრთელობაზე, ქირურგიული მკურნალობის ძირითადი პრინციპები, გამოყენებული საშუალებები, რეაბილიტაციის გზები</p> <ul style="list-style-type: none">• კბილთა იმპლანტაციის ჩვენებები, გამოყენებული საშუალებები და მკურნალობის ზოგადი პრინციპები• ყბა-კბილთა სისტემის ანომალიები, მათი გავრცელება, გამომწვევი მიზეზები, დიაგნოსტიკის მეთოდები, მკურნალობის ძირითადი პრინციპები და საშუალებები• პირის ღრუსა და კბილების (ყბა-სახის მიდამოს) დაავადებათა მკურნალობის შესაძლო გართულებების პროგნოზირება და რისკების გათვლა• სტომატოლოგიური რადიოლოგიისა და რადიაციული უსაფრთხოების საფუძვლები <p><u>ქვევითი და სოციალური მკცნიურებები</u></p> <ul style="list-style-type: none">• ფსიქოლოგია• ცხოვრების წესი, დიეტა და კვება• ჯანმრთელობის ხელშეწყობა		
--	--	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--



		<ul style="list-style-type: none"> ბიოეთიკა: მეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებები სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურების სფეროში, კოლეგებთან ურთიერთობის პრინციპები, მედიცინასთან (მათ შორის სტომატოლოგიასთან) დაკავშირებული კანონმდებლობა. 		
დარგობრივი უნარები				
<p>სტუდენტი ყველა სტომატოლოგიურ მანიპულაციას ატარებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <u>დამოუკიდებლად</u>: პლასტმასისა და ადამიანის უესტრაგირებულ კბილებზე, ფანტომ მულაჟებზე, სიმულატორებსა და სხვა სასწავლო მოწყობილობებზე. კლინიკურ პროცედურებს კი, კურსის <u>განმახორციელებელ ჰერსონალთან ერთად</u> და მათი უშუალო მეთვალყურეობით და პასუხისმგებლობით. 				
2	პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა	<ul style="list-style-type: none"> პაციენტის ცხოვრებისა და დაავადების ანამნეზის შეკრება სტომატოლოგიური პაციენტის კლინიკური დათვალეობა კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება პაციენტის და/ან მისი თანხმლები პირისთვის განმარტებებისა და რჩევების მიცემა 	მინიმალური სტანდარტი: ინტერაქტიული ლექცია, სწავლება პაციენტის სავარძელთან (Chairside teaching), პაციენტის საწოლთან (bedside teaching), კომუნიკაციის უნარების სწავლება, როლური „თამაშები“, CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება)	მინიმალური სტანდარტი: OSCE(ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა), Mini-Cex (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება)



		<ul style="list-style-type: none"> კლინიკური სიტუაციიდან გამომდინარე სტომატოლოგიის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების კონსულტაციის საჭიროების განსაზღვრა, პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა, პაციენტის ფსიქოემოციური სტატუსის შეფასება. 	<p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>CBCR (შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება), TBL (გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება)</p>	<p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>WPBA (სამუშაო ადგილზე შეფასება)</p>
3	<p>კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, წინასწარი დიაგნოზის დასმა, დიფერენციული დიაგნოსტიკა, დაავადების მკურნალობის გეგმის შესახებ მსჯელობა</p>	<ul style="list-style-type: none"> სტომატოლოგიური დაავადებების კლინიკური გამოვლინების სირთულის შეფასება, პათოლოგიური მდგომარეობის და ნიშნების ამოცნობა, კლინიკური სიტუაციის ადექვატური გამოკვლევების დანიშვნა და მიღებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია, დაავადების დიაგნოზის დასმა, მსგავსი სიმპტომების მქონე დაავადებებთან დიფერენციული დიაგნოზის გატარება, „ონკოლოგიური სიფზიზლის“ გამოჩენა, კლინიკური მდგომარეობის შესაფერისი მკურნალობის გეგმის შედგენა და მისი განხილვა პაციენტებთან და/ან მათ თანმხლებ პირებთან. 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ინტერაქტიული ლექცია, CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება), როლური „თამაშები“ (სტუდენტები ექიმისა და პაციენტის როლში), Chairside (bedside) teaching (სწავლება პაციენტის სავარძელთან, საწოლთან).</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>FCR (შებრუნებული <u>საკლასო ოთახი</u>), PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), CBCR(შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება)</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ტესტური გამოცდა, OSCE</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>WPBA (შეფასება სამუშაო ადგილზე), Mini-Cex (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება),</p>



				CBD (შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია)
4	დანმარების გაწევა გადაუღებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს (პირველადი დანმარება)	<ul style="list-style-type: none"> გადაუღებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და სიტუაციის შეფასება, ბაზისური პირველადი სამედიცინო დანმარების გაწევის თავისებურებები (სიმულატორებზე დემონსტრირება) და ამ მიზნით გამოსაყენებელი მედიკამენტები ბავშვებსა და მოზრდილებში, სხეულის (მათ შორის ყბა-სახის მიდამოსა და კბილების) ტრავმის დროს დაზიანების ამოცნობა, მისი ხარისხის შეფასება და პირველადი გადაუღებელი დანმარების გაწევა სახელმძღვანელო გაიდლაინების შესაბამისად სიმულატორებზე. პირველადი გადაუღებელი დანმარება ანაფილაქსიური შოკის დროს. 	მინიმალური სტანდარტი: Chairside/bedside Teaching (სწავლება პაციენტის სავარძელთან/საწოლთან), ინტერაქტიული ლექცია, მანეკენების/სიმულატორების გამოყენება, ან სიმულირებული პაციენტი	მინიმალური სტანდარტი: OSCE რეკომენდებული სტანდარტი: WPBA (შეფასება სამუშაო ადგილზე), Mini-Cex (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება), CBD (შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია)
5	მედიკამენტების შერჩევა და გამოწერა	<ul style="list-style-type: none"> ყბა-სახის მიდამოს დაავადებათა სამკურნალო მედიკამენტების შერჩევა, მათი დოზების განსაზღვრა, სხვა სამკურნალო საშუალებებთან სინერგიზმისა და ანტაგონიზმის, ასევე გვერდითი მოვლენების განმარტება 	მინიმალური სტანდარტი: ინტერაქტიული ლექცია, CBL(შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება), TBL (გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება)	მინიმალური სტანდარტი: OSCE ტესტური შეფასება



		<p>პაციენტისა და/ან მისი თანმხლები პირისთვის,</p> <ul style="list-style-type: none"> • ტკივილის მართვა სტომატოლოგიაში. 	<p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>FCR (შებრუნებული საკლასო ოთახი), CBCR (შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება).</p>	<p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>WPBA (შეფასება სამუშაო ადგილზე), Mini- Cex (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება), CBD (შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია)</p>
6	<p>სტომატოლოგიური კაბინეტის აღჭურვილობა, ინფექციებთან ბრძოლა და მათი პრევენციის გზები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხელების ჰიგიენა, • სტომატოლოგის სამუშაო ადგილის მოწყობა ერგონომიკის პრინციპების გათვალისწინებით, • სტომატოლოგიური აპარატურა და მასთან მოპყრობა, სტომატოლოგიური ინსტრუმენტების, საშუალებების, მასალებისა და მედიკამენტების დანიშნულება და გამოყენება. • სტომატოლოგის კაბინეტში ბიოუსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (მათ შორის ნარჩენების მართვა) 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ინტერაქტიული ლექცია, CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება)</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>DOPS (პირდაპირი დაკვირვება პრაქტიკული უნარების დემონსტრირებაზე)</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>OSCE, ტესტური შეფასება.</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>Mini -Cex (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება), DOPS (პირდაპირი დაკვირვება პრაქტიკული უნარების დემონსტრირებაზე)</p>



7	<p>პრაქტიკული (კლინიკური) პროცედურების ჩატარება</p>	<ul style="list-style-type: none"> • პაციენტის სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა: პულსი, სუნთქვა, სხეულის ტემპერატურა, • პაციენტის არტერიული წნევის გაზომვა, • პაციენტის სატურაციის განსაზღვრა, • ყბა-სახის მიდამოსა და კისრის ლიმფური კვანძების პალპაცია, • კარიესის გავრცელებისა და ინტენსივობის ინდექსების განსაზღვრა, • სარძევე და მუდმივ კბილებზე კარიესული და არაკარიესული ლაქების ვიტალური შეღებვა, • სარძევე და მუდმივი კბილების კარიესის პრევენციისა და რემინერალიზაციისთვის საჭირო საშუალებების შერჩევა და რემინერალიზაციის პროცედურის ჩატარება ფანტომ-მულაჟზე და პაციენტზე • სარძევე და მუდმივი კბილების არამასშტაბური კარიესული ღრუების დასაბუნად საჭირო მასალებისა და საშუალებების შერჩევა, კბილების პრეპარირება და დაბუნა ფანტომ- მულაჟებსა და პაციენტებზე • პირის ღრუს საიზოლაციო სისტემების გამოყენება ფანტომ-მულაჟებსა და პაციენტებზე, 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>Chairside/bedside Teaching (სწავლება პაციენტის სავარძელთან/საწოლთან), ინტერაქტიული ლექცია, მანეკენების/სიმულატორების, ფანტომ მულაჟების გამოყენება, სიმულირებული/მოდელირებული პაციენტის ჩართვა სწავლების პროცესში, პრაქტიკა ამბულატორიულ და ჰოსპიტალიზებულ პაციენტებთან.</p> <p>NB! პრაქტიკული-კლინიკური უნარების ათვისება სპეციალურად მოწყობილ და აღჭურვილ ცენტრში და კლინიკურ გარემოში.</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>OSCE</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>WPBA (შეფასება სამუშაო ადგილზე), DOPS (პირდაპირი დაკვირვება პრაქტიკული უნარების დემონსტრირებაზე)</p>
---	------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------



	<ul style="list-style-type: none">• კბილის პულპის შემანარჩუნებელი მკურნალობის ჩატარება ფანტომ-მულაჟსა და პაციენტებზე,• კბილის არხის ენდოდონტიური მკურნალობისთვის საჭირო საშუალებებისა და მოწყობილობების შერჩევა,• კბილის არხის პრეპარირება, ირიგაცია, ობტურაცია ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით ფანტომ-მულაჟებსა და პაციენტებზე.• ყბა-კბილთა სისტემის (მათ შორის კბილების) რენტგენოგრაფიული გამოკვლევით მიღებული გამოსახულებების შეფასება,• პაციენტის პაროდონტული რუკის შედგენა,• პაროდონტის დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მკურნალობისთვის საჭირო საშუალებების შერჩევა,• კლინიკური ინდექსების განსაზღვრა,• პაროდონტის დაავადებების მინიინვაზიური თერაპია: პირის ღრუს პროფესიული ჰიგიენის ჩატარება ხელის ინსტრუმენტებით, ბგერითი და ულტრაბგერის აპარატით, პაროდონტული ნახვევის დადება პაციენტებზე.		
--	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--



		<ul style="list-style-type: none">• კბილთა იმობილიზაცია და ღრძილქვეშა ინსტრუმენტიზაცია ფანტომ-მულაჟზე.• კბილთა შერჩევითი მოქლიბვა ფანტომ-მულაჟზე და პაციენტებზე,• პირის ღრუს ლორწოვანი გარსის, ენისა და ტუჩის დაავადებათა სამკურნალო საშუალებების შერჩევა და გამოყენება,• პირის ღრუდან გამოსაკვლევი მასალის აღება მიკრობიოლოგიური კვლევისთვის,• სარძევე და მუდმივ კბილთა ექსტრაქციისთვის საჭირო ინსტრუმენტებისა და საშუალებების შერჩევა, მათი მანევრირების ტექნიკის ფლობა და ექსტრაქციის შესრულება ფანტომ-მულაჟზე.• აპლიკაციური, ინფილტრაციული და რეგიონული ანესთეზიის შესრულება ფანტომ-მულაჟზე და პაციენტის პირის ღრუში,• განაკვეთის გატარება, ნაკერის დადება, (ხელოვნური კანის ბალიშზე, ფანტომ-მულაჟზე),• ჭრილობის დამუშავება (ფანტომ-მულაჟზე, სიმულირებულ პაციენტზე,)• თავის ირგვლივი ნახვევის დადება სიმულირებულ პაციენტზე• მორყვისა და ფესვების გაწოვის სხვადასხვა ხარისხის მქონე სარძევე		
--	--	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--



		<p>კბილების და მუდმივ კბილთა მარტივი ექსტრაქციის ჩატარება ფანტომ-მულაჟზე და პაციენტზე.</p> <ul style="list-style-type: none">• კბილის იმპლანტის ჩაყენებისთვის საჭირო მასალებისა და ინსტრუმენტების შერჩევა და იმპლანტის ჩაყენების შესრულება ფანტომ- მულაჟზე.• ცენტრალური ოკლუზიისა და ცენტრალური თანაფარდობის განსაზღვრა• საანაბეჭდო მასებისა და საშუალებების შერჩევა• საანაბეჭდო მასების შერევა და ანაბეჭდის აღება ფანტომ-მულაჟზე და პაციენტზე• კბილების პრეპარირებისთვის საჭირო საშუალებების შერჩევა და კბილთა პრეპარირება მეტალო და უმეტალო ფაიფურის გვირგვინების, წკირიანი ტაკოვანი ჩანართების დასამზადებლად ფანტომ-მულაჟზე, სამუშაო მოდელზე და პაციენტზე• ერთეული მეტალის და მეტალოკერამიკის გვირგვინის დამზადება და ფიქსაცია ფანტომ-მულაჟზე, სამუშაო მოდელზე და პაციენტზე• სრული ედენტულიზმის დროს ალვეოლური მორჩების პალპაცია პაციენტზე,		
--	--	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--



		<ul style="list-style-type: none"> ინდივიდუალური საანაბეჭდო კოვზის დამზადება და მორგება ფანტომ მულაჟზე, სამუშაო მოდელზე და პაციენტზე, ნაწილობრივი მოსახსნელი პროთეზების (მათ შორის დამყრდნობ-რკალოვანი, ბიუგელისებური) დასამზადებლად საჭირო საშუალებების შერჩევა და ამ ტიპის ორთოპედიული კონსტრუქციების მორგება ფანტომ-მულაჟზე და სამუშაო მოდელზე იმპლანტზე დაყრდნობილი ორთოპედიული კონსტრუქციების დასამზადებლად საჭირო ინსტრუმენტების, მოწყობილობების და საშუალებების შერჩევა, ანაბეჭდის აღება ღია და დახურული კოვზებით. ორთოდონტიული მკურნალობისთვის საჭირო აპარატების დასამზადებელი საშუალებებისა და მოწყობილობების შერჩევა, ორთოდონტიული აპარატების მორგება - ფიქსაცია ფანტომ მულაჟზე. 		
8	სამედიცინო კონტექსტში	<ul style="list-style-type: none"> პაციენტთან და /ან მის თანხმლებ პირებთან კომუნიკაცია, კოლეგებთან კომუნიკაცია, 	მინიმალური სტანდარტი:	მინიმალური სტანდარტი:



	<p>ეფექტური კომუნიკაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნეგატიური ინფორმაციის შეტყობინებისას კომუნიკაცია, • შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების მქონე პირებთან კომუნიკაცია, • ინფორმირებული თანხმობის მისაღებად საჭირო კომუნიკაცია, • კონფლიქტურ სიტუაციებში კომუნიკაცია, • წერილობითი (სამედიცინო ჩანაწერების წარმოება) კომუნიკაცია, • კომუნიკაცია ყველა იმ ადამიანთან (პაციენტთან ან მის თანხმლებ პირთან) რომლებიც განსხვავებული სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური და სხვა კუთვნილებებისაა. 	<p>ინტერაქტიული ლექცია, CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება) როლური „თამაშები“(სტუდენტები ექიმისა და პაციენტის როლში)</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>FCR (შებრუნებული საკლასო ოთახი), CBCR (შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება), TBL (გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება)</p>	<p>OSCE</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>WPBA (სამუშაო ადგილზე შეფასება), Mini – Cex (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება)</p>
9	<p>სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალობის დაცვა, • პაციენტთან ურთიერთობის ყველა ეტაპზე ეთიკის პრინციპების დაცვა, • ინფორმირებული თანხმობის მიღება და მისი წერილობითი გაფორმება, • პაციენტთა გამოკვლევისა და მკურნალობის პროცესში საქართველოს კანონმდებლობის გამოყენება. 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ინტერაქტიული ლექცია, სწავლება პაციენტის სავარძელთან (საწოლთან) Chairside (Bedside)Teaching, როლური „თამაშები“</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>FCR (შებრუნებული საკლასო ოთახი),</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>OSCE, ტესტური/ზეპირი გამოცდა</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p>



			<p>PBL (პრობლემაზე დაუძნებელი სწავლება), CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება), TBL (გუნდურ მუშაობაზე დაუძნებელი სწავლება), CBD (შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია)</p>	<p>WPBA (სამუშაო ადგილზე შეფასება), Mini – Cex (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება)</p>
10	<p>პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება</p>	<ul style="list-style-type: none"> • სტომატოლოგიური დაავადებების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების <u>ფსიქოლოგიური</u> ფაქტორების შეფასება, • სტომატოლოგიური დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების <u>სოციალური</u> ფაქტორების შეფასება, • სტომატოლოგიურ დაავადებებთან დაკავშირებული სტრესის დადგენა და მისი ანალიზი. 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ინტერაქტიული ლექცია, სწავლება პაციენტის სავარძელთან (საწოლთან) Chairside (Bedside)Teaching, როლური „თამაშები“</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>FCR (შებრუნებული საკლასო ოთახი), PBL (პრობლემაზე დაუძნებელი სწავლება), CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება), TBL (გუნდურ მუშაობაზე დაუძნებელი სწავლება), CBD (შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია)</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>OSCE, ტესტური/ზეპირი გამოცდა</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>WPBA (სამუშაო ადგილზე შეფასება), Mini – Cex (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება)</p>



11	<p>მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> • მტკიცებითი მედიცინის დებულებათა იმპლემენტაცია პრაქტიკაში, • პრობლემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მოძიების საჭიროების განსაზღვრა და ძიების ჩატარება, • პრობლემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მონაცემთა ანალიზი, მათი კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრობლემის გადასაჭრელად მათი პრაქტიკაში გამოყენება. 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ინტერაქტიული ლექცია, სწავლება პაციენტის სავარძელთან (საწოლთან) Chairside (Bedside) Teaching, როლური „თამაშები“</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>FCR (შებრუნებული საკლასო ოთახი), PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება), TBL (გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება), CBD (შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია)</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>OSCE, ტესტური/ზეპირი გამოცდა</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>WPBA (სამუშაო ადგილზე შეფასება), Mini – Cex (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება)</p>
12	<p>სამედიცინო და სტომატოლოგიურ კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების</p>	<ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო დოკუმენტაციაში კლინიკური ჩანაწერებისა და საჭირო ინფორმაციის სწორად წარმოება, შენახვა და საჭიროებისამებრ გამოყენება, 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ინტერაქტიული ლექცია, პაციენტთა ამბულატორიული, ასევე, სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციისა და</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>OSCE, ტესტური/ზეპირი გამოცდა</p>



	<p>ეფექტურად გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> პრაქტიკულ საქმიანობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება, სპეციალური საინფორმაციო რესურსების მოძიება. 	<p>ისტორიების (მათ შორის ელექტრონული) წარმოების, შენახვისა და გამოყენების სწავლება.</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>FCR (შებრუნებული საკლასო ოთახი), საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლება.</p>	<p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>WPBA (სამუშაო ადგილზე შეფასება), Mini – Cex (მინი კლინიკური სავარჯიშოს შეფასება)</p>
13	<p>სტომატოლოგიურ პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.</p>	<ul style="list-style-type: none"> სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის ცოდნა, კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა, მიღებული შედეგების ანალიზი და დასკვნების გამოტანა, პრაქტიკულ საქმიანობაში ბიოსამედიცინო მეცნიერებათა მიღწევების გამოყენება, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე რეფერატის/ მიმოხილვის დაწერა, სამეცნიერო კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვა. 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ინტერაქტიული ლექცია, პაციენტთა ამბულატორიული, ასევე, სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციისა და ისტორიების (მათ შორის ელექტრონული) წარმოების, შენახვისა და გამოყენების სწავლება, CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება),</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>FCR (შებრუნებული საკლასო ოთახი),</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ტესტური გამოცდა, რეფერატი, ესსე.</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>CBD (შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია)</p>



			PBL (პრობლემაზე დაუძნებელი სწავლება), CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება), TBL (გუნდურ მუშაობაზე დაუძნებელი სწავლება), CBD (შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია)	
14	ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართულობა, ჯანდაცვის სისტემაში აქტიური მუშაობა	<ul style="list-style-type: none"> პაციენტისთვის ზიანის მიყენების მინიმალური რისკის შემცველი გამოკვლევებისა და მკურნალობის ჩატარება, გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციის ღონისძიებებში მონაწილეობა, საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში მათი შეფასება, ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა. 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ინტერაქტიული ლექცია, CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება)</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>FCR (შებრუნებული საკლასო ოთახი), PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), სემინარები.</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ზეპირი/ტესტური გამოცდა, პრეზენტაციები.</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა.</p>
15	პროფესიონალიზმი (ღირებულებები, ქცევა, დამოკიდებულება)	<ul style="list-style-type: none"> ექიმის (სტომატოლოგის) ურთიერთობა პაციენტებთან, პასუხისმგებლობა, ეთიკის პრინციპების დაცვა, კოლეგებთან დამოკიდებულება, 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>Chairside (Bedside) Teaching (კლინიკურ გარემოში-პაციენტის</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>OSCE</p>



	<ul style="list-style-type: none">• ემპათია,• კრეატიულობა,• გუნდური მუშაობის უნარი,• ღროის მართვა,• ინტერპროფესიული უნარები,• უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მზაობა.	<p>სავარძელთან და საწოლთან სწავლება), როლური „თამაშები“, მენტორობა, უკუკავშირი.</p> <p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>PBL(პრობლემაზე დაუძნებული სწავლება), CBL (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება), CBCR(შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება), TBL(გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება).</p>	<p>რეკომენდებული სტანდარტი:</p> <p>პორტფოლიო WPBA(შეფასება სამუშაო ადგილზე, შეიცავს 360° შეფასებას).</p>



IV მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი

V სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლისა და სწავლების კლასიკური მეთოდების - ლექციებისა და სემინარების გარდა, მიზანშეწონილია სწავლისა და სწავლების შემდეგი თანამედროვე მეთოდების გამოყენება:

- **პრობლემაზე და კლინიკური შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება** (შესაბამისად, *PBL-Problem-Based Learning* და *CBL-Case-Based Learning*). კლინიკური აზროვნების განვითარებისთვის რეკომენდებულია კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების (*CBCR – Case-based Clinical Reasoning*) მეთოდის გამოყენება. სწავლების ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით, აღნიშნული მეთოდები სტუდენტს ეხმარება გამოიყენოს მის მიერ შექმნილი თეორიული ცოდნა კონკრეტული კლინიკური პრობლემის დამოუკიდებლად გადასაჭრელად, ასევე გამოიმუშავოს გუნდური მუშაობის უნარი, რაც ძლიერ მნიშვნელოვანია საექიმო პროფესიული საქმიანობის წარმატებით განსახორციელებისათვის.
- **„სავარძელთან სწავლება“ და „საწოლთან სწავლება“** (*ChT-Chairside Teaching* და *BT - Bedside Teaching*) - კლინიკური სწავლების მეთოდებია, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს შეიძინოს (განიმტკიცოს) ანამნეზის შეკრებისა და პაციენტის დათვალიერების უნარები. პროფესიულ დამოკიდებულებასთან ერთად, სწავლების ეს მეთოდი აერთიანებს დიაგნოსტიკურ პროცესს და პაციენტის მოვლას შეიცავს რა, განსაზღვრულ კლინიკურ, დიაგნოსტიკურ, საკომუნიკაციო, ეთიკურ უნარებსა და პროფესიულ აზროვნებას



- ექიმი-პაციენტის როლების შესრულება/იმიტაცია/ ე.წ. როლური თამაში
- *„ღია წიგნის / გადამლილი წიგნის, წიგნში ჩახედვის/ მეთოდი“ – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტს ლიტერატურის, დამხმარე მასალის, ინტერნეტ-რესურსის გამოყენების უფლება აქვს. მეთოდი ემყარება სტუდენტის მიერ ინფორმაციის სინთეზის, ანალიზის და გამოყენების და არა, მარტივად დამახსოვრების უნარს. მოწმდება ისეთი უნარები, როგორცაა: ცოდნის გამოყენება, შეფასება/ანალიზი და კრიტიკული აზროვნება.
**ამ მეთოდის გამოყენებისას საგამოცდო მასალა უნდა იყოს კონცეპტუალური, უხვი მრავალფეროვანი და ორიენტირებული სტუდენტის ანალიზის უნარზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მათ მიერ სასწავლო ლიტერატურის მარტივად გამოყენების შესაძლებლობას.*
- **“შებრუნებული კლასის“ მეთოდით (FC-Flipped Classroom)** სწავლებისას სტუდენტებს წინასწარ აწვდიან თემატურ მასალას, რომლის ინტერაქტიული განხილვა უკვე მომზადებულ სტუდენტებთან სემინარზე (მეცადინეობაზე) ხდება. სწავლების ეს მეთოდი ეფუძნება დისტანციური სწავლების ონლაინ პლატფორმისთვისაც.
- სტუდენტთა დიდ ჯგუფებთან მუშაობის დროს მიზანშეწონილია **„ჯგუფური სწავლება“ (TBL-Team Based Learning)**. ამ მეთოდის გამოყენების დროს, ისევე, როგორც „შებრუნებული კლასის“ შემთხვევაში, სტუდენტებს წინასწარ აწვდიან სადისკუსიო მასალის თემატიკას. მეცადინეობებზე სტუდენტები იყოფიან 5-6 კაციან ჯგუფებად და დამოუკიდებლად მსჯელობენ დაყენებულ პრობლემაზე. ცოდნა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, პრე- და პოსტ-ტესტების მეშვეობით. TBL-ის სხვადასხვა მოდიფიკაცია არსებობს და გამოიყენება სწავლების ყველა ეტაპზე.
**როგორც „შებრუნებული კლასის“, ისე „ჯგუფური სწავლების“ მეთოდების გამოყენებისას, მასწავლებელს პასიური, დამკვირვებლის როლი აკისრია, რომელიც თვალყურს ადევნებს სტუდენტთა მსჯელობას, აზროვნების დინამიკასა და პოლემიკის პროცესს. სტუდენტთა სწორედ ამ უნარების განვითარებისთვისაა მოწოდებული აღნიშნული მეთოდები.*
- სწავლების კლინიკურ ეტაპზე, განსაკუთრებით დამამთავრებელ წელს, რეკომენდებულია **კლინიკურ გარემოში სწავლების ახალი მეთოდოლოგია - EPA (Entrustable Professional Activities)**, მინდობილი პროფესიული აქტივობა. მეთოდი,



როგორც წესი, აერთიანებს სტუდენტის რამდენიმე კომპეტენციას. კლინიკური აქტივობის განხორციელება სტუდენტს მხოლოდ მას შემდეგ უნდა მიენდოს, როცა იგი სრულყოფილად შეიძენს ამ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციებს.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების და პროფესიონალიზმის შეფასებასაც. შეფასების თანამედროვე მეთოდებიდან, გარდა ტრადიციული წერიითი, ზეპირი, ტესტური და კომბინირებული გამოცდებისა, რეკომენდებულია:

- **OSCE (Objective Structured Clinical examination)** – ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა - სტუდენტების (შემდგომში რეზიდენტების) კლინიკური კომპეტენციის შესაფასებლად ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული მეთოდია, რომლის დროსაც სტუდენტები ახდენენ კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირებას სიმულატორებზე ან პაციენტის როლის შემსრულებელ პირებზე (სტანდარტიზებულ ან სიმულირებულ პაციენტებზე). OSCE აღიარებულია სამედიცინო განათლების ერთ-ერთ ძირითად სტანდარტად სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. სასურველია, ფინალურ გამოცდებზე OSCE-ის სადგურების რაოდენობა აღემატებოდეს 10-ს (ოპტიმალურია 12 სადგური). შეფასების ზღვარი თითოეულ სადგურზე დამოკიდებულია შესასრულებელ დავალებაზე.
- **OSPE (Objective Structured Practical Examination)** - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა თავისი ფორმატით OSCE-ის ანალოგიურია, თუმცა, ამ შემთხვევაში სადგურების რაოდენობა შეიძლება უფრო ნაკლები იყოს (4-6 სადგური). მისი გამოყენება რეკომენდებულია საბაზისო დისციპლინების სწავლების საბაზისო ეტაპზე, ასევე, შუალედური (ფორმაციული) და საბოლოო (სუმაციური) შეფასებისას.
- **WPBA (Work Place Based Assessment)** - შეფასება სამუშაო (კლინიკურ) გარემოში. რეკომენდებულია კლინიკური სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე. იგი წარმოადგენს შეფასების რამდენიმე მეთოდის ერთობლიობას. WPBA ძირითადად, გამოიყენება ფორმაციული (შუალედური) შეფასების დროს.
- **WPBA** სტუდენტის შეფასების რამდენიმე მეთოდის ერთობლიობაა. ეს მეთოდებია:
DOPS-Direct Observation of Procedural Skills - პირდაპირი დაკვირვება პროცედურების შესრულებაზე



Mini-CEX - Mini Clinical Evaluation Exercise - მინი-კლინიკური სავარჯიშოს შეფასება

CBD - Case Based Discussion - შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია

*სტომატოლოგიის დიპლომამდელი განათლების სისტემაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს უკუკავშირს (feedback), რაც განსაკუთრებით სარგებელიანია იმ შემთხვევაში, თუ იგი მრავალმხრივია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება **MSF-Multi source feedback, ე.წ. 360⁰** შეფასება.

- ***MSF - Multi-source feedback, ე.წ. 360⁰ შეფასება** (მრავალმხრივი შეფასება), წარმოადგენს კითხვარებზე დაფუძნებული შეფასების ფორმალურ მეთოდს, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა შემფასებლის მიერ პირდაპირი დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემებს უშუალოდ სტუდენტის საშუაოდ ადგილზე. **MSF** მოიცავს სტუდენტის სისტემატიურ, რუტინულ შეფასებას პაციენტთან არა მხოლოდ ერთჯერადი, არამედ მრავალჯერადი კონტაქტით/შეხვედრით. რამდენიმე შემფასებელი აფასებს სტუდენტს სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა: ანამნეზის შეკრება, პაციენტის დათვალეირება, კომუნიკაციური უნარები, კლინიკური აქტივობის შეფასება, პროფესიონალიზმი, ორგანიზებულობა, კოლეგებთან მუშაობის უნარი. მიღებული მონაცემები შემდგომში გრაფიკული ფორმას ღებულობს და წარმოადგენს შემფასებელთა საშუალო შეფასებას, რომელიც ასევე ანონიმურ კომენტარებს შეიცავს. საშუალო ქულას პროფესორი სტუდენტთან ერთად განიხილავს და მასთან ერთად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

პროფესიონალიზმის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- **პორტფოლიო** (ე.წ. გახანგრძლივებული - გრძელვადიანი (5-წლიანი) შეფასება, რაც მოიცავს სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობებს (კონფერენციებში მონაწილეობა, პაციენტების გამოკვლევის და მკურნალობის პროცესში ჩართულობა, სოციალური აქტივობა, თვით-ანალიზი (self-reflection), პერსონალური განვითარების გეგმა (Personal Development Plan) და სხვ); შეფასება ეფუძნება დოკუმენტებს/მტკიცებულებებს, რომლებიც ასახავს სტუდენტის აქტივობას სწავლების პირველი წლიდან მეხუთე წლის ბოლომდე. პორტფოლიო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტის აკადემიური მოსწრების მიმდინარე და საბოლოო შეფასებაზე, ობიექტურად და დასაბუთებულად ასახავს სტუდენტის კლინიკური აზროვნების,



პრაქტიკული უნარების, ზოგადი პროფესიული თვისებების განვითარების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ავლენს მის ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების გზებს.

- **WPBA** მეთოდები;
- **P-MEX** – Professionalism Mini-Evaluation Exercise (ფასდება პაციენტთან კომუნიკაციის უნარი, ემპათია, დროის მენეჯმენტი, ინტერპროფესიული ურთიერთობა, პუნქტუალობა).

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი

ასპექტი	სპეციალური მოთხოვნები
სტომატოლოგიური მეთოდოლოგია განათლების	დიპლომამდელი სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები/ლექტორები/მენტორები რეგულარულად (5 წელიწადში ერთხელ) უნდა გადიოდნენ ტრენინგებს, დადასტურებულს შესაბამისი სერტიფიკატით. (სწავლის მეთოდები/შეფასების მეთოდები (PBL, DOPS, mini CEX, OSCE, 360, Portfolio) გადაუდებელი დახმარება, ინფექციის კონტროლი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტომატოლოგია, სპეციალური საჭიროების სტომატოლოგია და სხვ.)
პერსონალის დატვირთვა	დაწესებულება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ყოველკვირეული დატვირთვის განსაზღვრისას იყენებდეს დატვირთვის ეკვივალენტის (Full Time Equivalent FTE) მეთოდოლოგიას. <ul style="list-style-type: none"> • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისას განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა უნდა ეფუძნებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების სასემინარო, ლაბორატორიული, პრაქტიკული და



	კლინიკური ბაზების რესურსებს, ასევე ადამიანური რესურსის რაოდენობრივ მაჩვენებლს.
<p>ფუნდამენტური/ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინები</p>	<p>მოთხოვნები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესაბამისი სპეციალობის სერთიფიკატი; პედაგოგიური და კლინიკური გამოცდილება: • პროფესორი-პედაგოგიური გამოცდილება სულ მცირე 6 წელი, კლინიკური- სულ მცირე 9 წელი; • ასოცირებული პროფესორი-პედაგოგიური გამოცდილება სულ მცირე 3 წელი, კლინიკური- სულ მცირე ბოლო 5 წელი; • ასისტენტ-პროფესორს კლინიკური გამოცდილება სულ მცირე 3 წელი; • ასისტენტს- დოქტორანტს კლინიკურ სპეციალობაში კლინიკური გამოცდილება სულ მცირე 3 წელი; • მოწვეულ სპეციალისტს, ლექტორს/მენტორს კლინიკური გამოცდილება სულ მცირე 3 წელი.
<p>სტომატოლოგიის უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა</p>	<p>უცხოენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე 3 წლის გამოცდილება (რომელიც შეესაბამება პროგრამის სწავლების ენას)</p> <p>ან</p> <p>საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში პროგრამის სწავლების ენაზე საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში</p> <p>ან</p> <p>საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის პროგრამის სწავლების ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში</p> <p>ან</p> <p>პროგრამის სწავლების ენაზე დიპლომამდელი ან დიპლომის შემდგომი პროგრამის დასრულება, დადასტურებული დოკუმენტით</p> <p>ან</p> <p>პროგრამის სწავლების ენის სულ მცირე B2 დონის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით</p> <p>ან</p> <p>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით პროგრამის სწავლების ენის B2 დონის შესაბამისი</p>



	<p>შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე ენის ცოდნის დადასტურება</p> <p>აღნიშნული მოთხოვნის შესრულება უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 2,5 წლის ვადაში.</p>
--	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

6.2 მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი

ასპექტი	სპეციალური მოთხოვნები
<p>ფუნდამენტური დისციპლინები</p>	<p>სწავლების საწყის ეტაპზე ფუნდამენტური დისციპლინების სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში და /ან აფილირებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.</p> <p>დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი, შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებას და/ან განახორციელოს აღნიშნული სასწავლო საქმიანობა აფილირებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში (ხელშეკრულების საფუძველზე). ორივე შემთხვევაში ლაბორატორია შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილ ბიო- და შრომით უსაფრთხოების ნორმებთან.</p> <p>სასწავლო-კვლევით ლაბორატორიაში სასწავლო კურსის განმავლობაში სამუშაო სივრცე უნდა იყოს გათვლილი 10 სტუდენტზე ერთდროულად 1 საკონტაქტო საათის ფარგლებში უსაფრთხოების დადგენილი წესების დაცვით.</p> <p>უნდა არსებობდეს რესურსი და IT-ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო შეხვედრებისა და ფორუმების (მათ შორის - საერთაშორისო კომუნიკაციის ფარგლებში) ჩატარებისათვის.</p>
<p>პრეკლინიკური დისციპლინები</p>	<p>სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ სიმულაციურ ცენტრებში-საფანტომო კლასებში, მათ შორის აფილირებული სტომატოლოგიური და ზოგადი პროფილის (ამბულატორული და სტაციონარული სერვისის) მომწოდებელ დაწესებულებებში (ხელშეკრულების საფუძველზე). აღნიშნული ცენტრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სასწავლო ფართით, კურიკულუმის მოსალოდნელი შედეგებით (მანუალური უნარები/კლინიკური კომპეტენციები) გათვალისწინებული სამედიცინო/სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარებისათვის</p>



	<p>აუცილებელი სიმულატორების, ფანტომების და მანეკენების რეკომენდებული ჩამონათვალით (დანართი #1)</p> <p>საუნივერსიტეტო/სასწავლო სიმულაციურ /საფანტომო ცენტრებში სასწავლო კურსის განმავლობაში უნდა იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • 1 სიმულატორი/ფანტომი/მანეკენი - არაუმეტეს 2 სტუდენტზე ერთდროულად, 1 საკონტაქტო საათის ფარგლებში. <p>სასწავლო სივრცე უნდა იყოს აღჭურვილი ციფრული ტექნოლოგიებით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთათვის სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე ვირტუალური პაციენტის კლინიკური შემთხვევის დიაგნოსტიკების/მკურნალობის დაგეგმარების და 3D კომპიუტერული მოდელირების შესაძლებლობას.</p> <p>უსდ-მ სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს საფანტომო კურსების ფარგლებში სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობა ზემოთაღნიშნული (ფანტომი/სტუდენტის) თანაფარდობის გათვალისწინებით.</p> <p>უნდა არსებობდეს რესურსი და IT-ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო მეხვედრებისა და ფორუმების (მათ შორის - საერთაშორისო კომუნიკაციის ფარგლებში) ჩატარებისათვის.</p>
<p>კლინიკური დისციპლინები</p>	<p>კლინიკური დისციპლინების სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ სტომატოლოგიურ და ზოგადი პროფილის სამედიცინო (ამბულატორული და სტაციონარული სერვისის) მომწოდებელ კლინიკებში, მათ შორის აფილირებული დაწესებულებებში (ხელშეკრულების საფუძველზე). საუნივერსიტეტო და აფილირებული სასწავლო კლინიკები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სასწავლო ფართით, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • 1-დანადგარიანი სტომატოლოგიური კაბინეტი - არანაკლებ 12კვ.მ-სა; • დარბაზული სისტემის სტომატოლოგიური კაბინეტი - არანაკლებ 18კვ.მ (12+6 კვ.მ) ყოველ 2 სტომატოლოგიურ დანადგარზე გათვლით. • სტომატოლოგიურ დანადგარებს შორის მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა <p>სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ელექტრონული და წიგნადი სასწავლო რესურსი.</p> <p>საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ სტომატოლოგიურ კლინიკებში (მათ შორის, აფილირებულ დაწესებულებებში) <u>სტომატოლოგიური სავარძლის/სტუდენტის (პაციენტი /სტუდენტის) თანაფარდობა</u> სასწავლო კურსის განმავლობაში უნდა იყოს:</p>



	<ul style="list-style-type: none"> • 1 სტომატოლოგიურ დანადგართან - ერთდროულად, არაუმეტეს 4 სტუდენტის. <p>საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ ზოგადი პროფილის სამედიცინო (ამბულატორული და სტაციონარული სერვისის) მომწოდებელ კლინიკებში, მათ შორის აფილირებული დაწესებულებებში, პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის განმავლობაში უნდა იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში- 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის • ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში- 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის • მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტებში- 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის • პედიატრიის დეპარტამენტებში- 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის • რეანიმაციის /ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში- 1 პაციენტზე არაუმეტეს 6 სტუდენტის <p>საუნივერსიტეტო და აფილირებულ კლინიკასთან გაფორმებული, რეგულარულად განახლებადი ხელშეკრულება დეტალურად უნდა აღწერდეს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> - ერთი აკადემიური წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მისაღები სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას; - კლინიკურ სასწავლო კურსებს, რომლებიც ტარდება კლინიკაში და მათ ხანგრძლივობას; - ინფორმაციას კლინიკური მოდულების განმანორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება/ებ-ზე, აგრეთვე, ცხრილს/გრაფიკს კონკრეტული სასწავლო კურსის განმავლობაში დროის ერთი და იგივე მონაკვეთში სტუდენტების რაოდენობის მიღების შესაძლებლობის შესახებ.
<p>საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები</p>	<p>საკუთარი ბიბლიოთეკა, ელექტრონული სასწავლო რესურსები და IT-ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო შეხვედრებისა და ფორუმების (მათ შორის - საერთაშორისო კომუნიკაციის ფარგლებში) ჩატარებისათვის.</p>



VIII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	ვლადიმერ მარგველაშვილი	სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ორთოპედიული სტომატოლოგიისა და იმპლანტოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი. საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და გენერალური მდივნი. საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი; საბჭოს თავმჯდომარე
2	სოფიო სამხარაძე	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი; საბჭოს მდივანი
3	მარინე მამალაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სარეზიდენტო პროგრამის „თერაპიული სტომატოლოგია“ ხელმძღვანელი, სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეგიის ევროპული სექციის ვიცე-რეგენტი; საბჭოს წევრი



4	ქეთევან გოგილაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მედიცინის ფაკულტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი. საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი; საბჭოს წევრი
5	ზურაბ ორჯონიკიძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი - საბჭოს წევრი;
6	ნინო წილოსანი	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი; საბჭოს წევრი
7	მზია ბაქრაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი; საბჭოს წევრი
8	ბუბა ჩაჩხიანი	შპს - ალტე უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; საბჭოს წევრი
9	თენგიზ ლობჯანიძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის და ფარმაციის დეპარტამენტის პროფესორი; საბჭოს წევრი



10	ირაკლი ჩაჩუა	შპს - ბაუ ინტერნეიშელან უნივერსიტი	სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; საბჭოს წევრი
11	ნინო ჯაფარიძე	შპს - სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი; საბჭოს წევრი
12	ნინო აბაიშვილი	შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი; საბჭოს წევრი
13	მანანა უსტიაშვილი	შპს-კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სტომატოლოგიის დოქტორი; საბჭოს წევრი
14	ლელა წიტიანი	შპს- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი; საბჭოს წევრი
15	ხათუნა რცხილაძე	ა(ა)იპ- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის სკოლის დეკანი, პროფესორი; საბჭოს წევრი
16	ელენე გიგინეიშვილი	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი; საბჭოს წევრი
17	ნუნუ ხეცურიანი	შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	პროფესორი; საბჭოს წევრი
18	ლიანა ჭუმბურიძე	სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო	დირექტორი; საბჭოს წევრი
19	ხათუნა ზალდასტანიშვილი	სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო	პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი; საბჭოს წევრი
20	მანანა ივერიელი	საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული	ვიცე-პრეზიდენტი;



		ასოციაცია	მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პაროდონტიკისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი; საბჭოს წევრი
21	სოფიო ფუთურიძე	საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაცია	ასოციაციის წევრი. მედიცინის დოქტორი; საბჭოს წევრი
22	ნანა კალმახელიძე	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; საბჭოს წევრი
23	ზურაბ ალხანიშვილი	საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია (GSA)	ვიცე პრეზიდენტი; საბჭოს წევრი
24	ლია სანოძე	საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაცია	ასოციაციის პრეზიდენტის წევრი; თსსუ-ს აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი; საბჭოს წევრი



დანართი #1

სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებისათვის განკუთვნილი სიმულატორების, მულაჟების და მანეკენების რეკომენდებული ჩამონათვალი

დასახელება	მახასიათებლები	შესაძლებლობები	სარეკომენდაციო დარგობრივი კომპეტენციები
მოზრდილი ავადმყოფის მოვლის მანეკენი	<p>1. მანეკენი დამზადებულია გამძლე, უტეხი, წყალგამძლე პლასტმასისგან, საინექციო ადგილები არის რბილი რეზინის (სულ 6 ცალი მთელს სიმულატორზე), ხოლო ორგანოები და გენიტალიები – დრეკადია.</p> <p>2. შესაძლებელია ზედა და ქვედა კიდურების მოხრა და ცოცხალთან მსგავსი მოძრაობების შესრულება.</p> <p>3. მანეკენს აქვს სიმულირებული ფილტვები, გული, ასევე, შესაძლებელია მათი ამოღება და ჩადგმა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • მობილიზაცია • ნახვევის დადება და ჭრილობის მოვლა • თვალის, ყურის, ცხვირის, ირიგაცია • ინტრამუსკულური და კანქვეშა ინიექციები • ნაზოგასტრული ლავაჟი • ჟანგბადის მიწოდება და ხელოვნური სუნთქვა • ტრაქეოსტომის მოვლა 	პრაქტიკული პროცედურები
ვენაპუნქციის ბალიში (pad) - მულაჟი	<p>1. ვენაპუნქციის პადის ვენური ქსელი წარმოადგენს მარჯვენა მკლავის აცეტაბულური ფოსოს ვენური ქსელის მქონე დაფას, დაფარულს სპეციალური დრუბლით.</p> <p>2. სიმულატორის ვენური ქსელის შევსება წარმოებს განცალკევებით და არ არის მიერთებული სპეციალურ სისხლის პაკეტთან.</p> <p>3. პადის საფარი ეპიდერმისი გამძლეა და ადვილად ირეცხება წყლით და საპნით.</p>	<p>პალპაციით ვენის მოძებნა</p> <ul style="list-style-type: none"> • ვენის პუნქცია ნემსით • კათეტერის ჩადგმა • სისხლის მიმოქცევის მენეჯმენტი • სისხლის აღება 	პრაქტიკული პროცედურები



<p>მკლავის მულაჟი ინტრავენური ინექციისთვის</p>	<p>1. ინტრავენური ინექციის მკლავი დამზადებულია გამძლე სილიკონისგან. 2. მკლავზე გამოხატულია საღმის, შვარდნის, იდაყვის შუა ვენები და მტევნის დორზალური ვენური ქსელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ინტრავენური ინექციის წარმოება • პერიფერიული ვენოპუნქცია 	<p>პრაქტიკული პროცედურები</p>
<p>კუნთშიდა ინექციის თედოს მულაჟი</p>	<p>1. მულაჟი წარმოადგენს სხეულის ქვედა ნაწილს წელიდან მუხლებამდე. 2. მულაჟის ერთ მხარეს ჩანს მენჯის გარეგანი კუნთოვანი და ნერვ-სისხლძარღვოვანი ანატომიური სურათი, მეორე მხარეს კი - შესაძლებელია ინტრამუსკულური ინექციების ჩატარება.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ღუნდულოს მიდამოს ზედა კვადრანტში ინტრამუსკულური ინექცია • თედოს წვეტის ქვევით ვენტროგლუტურ მიდამოში ინტრამუსკულური ინექცია • ბარდაყის ლატერალურ მიდამოში ინტრამუსკულური ინექცია • საზარდულის მიდამოს ზევით მუცლის წინა კედელზე კანქვეშა ინექცია • ბარდაყის ვენის და არტერიის ლოკალიზაციის განსაზღვრა • ღუნდულოს მიდამოს პალპაცია 	<p>პრაქტიკული პროცედურები</p>
<p>კანქვეშა, კანშიდა და კუნთშიდა ინექციის პადი (მულაჟი)</p>	<p>1. მულაჟი არ არის დამზადებული ლატექსისგან 2. მულაჟი ქმნის სხვადასხვა ქსოვილოვანი შრის სიმულაციას: ეპიდერმისი, დერმა, ცხიმოვანი და კუნთოვანი შრე. 3. შესაძლებელია ეპიდერმისის სიმულირებული შრის მოხსნა და მის ქვეშ დაგროვილი სითხის გამოშვება, შემდგომში დამაგრება და საინექციო შპრიცით სითხის სხვა დოზის შეყვანა. 4. შესაძლებელია ინტრამუსკულურად სითხის შეყვანილი სითხის გამოდევნა. 5. ეპიდერმისი გამძლეა და ადვილად იცვლება,</p>	<p>კანქვეშა, კანშიდა და კუნთშიდა ინექციების ჩატარება</p>	<p>პრაქტიკული პროცედურები</p>



	შესაძლებელია სიმულატორის დამაგრება სტუდენტის ან ტრენერის მკლავზე ან ფეხზე. 6. მულაჟი წარმოადგენს პლასტიკის ჩარჩოზე დამაგრებულ რბილ ღრუბელს, რომელზეც გადაფარებულია სპეციალური ეპიდერმისი.		
ქირურგიული ნაკერის ბალიში (pad)/მულაჟი	1. კანის მულაჟი დამზადებულია ვინილისგან, რომელიც გადაკრულია მყარ ქაფზე. 2. მულაჟზე არის რამდენიმე ჭრილობა	<ul style="list-style-type: none"> • ჭრილობის გაკერვა • ძველი ჭრილობების გაკერვის შემდეგ კანის დაზიანების შემთხვევაში, მკლავზე შესაძლებელია ახალი ჭრილობების გაკეთება 	პრაქტიკული პროცედურები
ბაზისური მულაჟი სასიცოცხლო ფუნქციების შესანარჩუნებლად	<p>1. მულაჟი წარმოადგენს თავით და სასუნთქი გზებით, პირით პირში და პირით ცხვირში ხელოვნური სუნთქვის ჩასატარებლად.</p> <p>2. შესაძლებელია თავის გადახრა სასუნთქი გზების გასახსნელად.</p> <p>3. ფილტვების ვენტილაცია, ასევე, ამბუს ტომრის მეშვეობითაა შესაძლებელი.</p> <p>4. ზეწოლის რეალური მოცულობა და ზეწოლის მინიმალური სიღრმე ზღვრული მინიმუმის გადაჭარბებისას ხშიანობას იძლევა, რაც სპეციალური ცვლადი ზამბარის მეშვეობით ხორციელდება.</p> <p>5. დაბალი ფასი, ადვილად შეცვლადი სასუნთქი გზები მანეკენის ჰიგიენურ გამოყენებას და მარტივ მოვლას განაპირობებს.</p>	მულაჟი წარმოადგენს ტორსს მხრებითა და ყველა საჭირო ანატომიური დეტალით, გულის არაპირდაპირი მასაჟის დროს წერტილების იდეალური განსაზღვრისთვის.	გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)
მაგიდაზე/ბორმანქანაზე ფიქსირებული სტომატოლოგიური მულაჟი	მულაჟი წარმოადგენს მხოლოდ თავის ნაწილით, ფიქსირებულია ლითონის ღერძზე და მაგრდება მაგიდაზე, ან თავითა და	<ol style="list-style-type: none"> 1. პირის ღრუს დათვალირება (ექიმის პოზიციის განსაზღვრა) 2. ანაბეჭდის აღება 3. კბილების პრეპარირება 	პრაქტიკული პროცედურები



	ტორსის ნაწილით ფიქსირდება ბორმანქანაზე. აქვს სილიკონის ლოყები, მაგნიტით ფიქსირებული ყბები (შესაძლებელია გამოცვლა), ყბებზე შეიძლება კბილების ჩანაცვლება (ჩახრახნა).	4. კბილების დაბჯენა 5. პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება 6. საიზოლაციო სისტემების გამოყენება	
სტომატოლოგიური მულაჟი ადგილობრივი გაუტკივარებისთვის	მულაჟი წარმოდგენილია ყბების სახით, რბილი ღრძილით და ელექტროდებით (სწორად ჩატარებული მანიპულაციის შემთხვევაში, მიიღება ხმოვანი სიგნალი/ნათურა აინთება)	1. ინფილტრაციული ანესთეზია 2. რეგიონული ანესთეზია ზონდირება პაროდონტის ქსოვილების დიაგნოსტიკის მიზნით	პრაქტიკული პროცედურები
სტომატოლოგიური მულაჟი კბილების ექსტრაქციის ჩასატარებლად	მულაჟი წარმოდგენილია ზედა/ქვედა ყბის სახით. აქვს რბილი ღრძილი, შესაძლებელია ყველა ჯგუფის კბილის ექსტრაქცია, შემდგომი რეპლანტაციით (მანიპულაციის განმეორების მიზნით)	1. ზედა და ქვედა საჭრელების, პრემოლარების და მოლარების ექსტრაქცია 2. ზონდირება პაროდონტოლოგიური ქსოვილების დიაგნოსტიკის მიზნით	პრაქტიკული პროცედურები
სტომატოლოგიური მულაჟი კბილის მაგარ ქსოვილებზე სამუშაოდ (მოზრდილის და ბავშვის)	მულაჟი წარმოდგენილია ზედა/ქვედა ყბით. აქვს რბილი ან მყარი ღრძილოვანი ნაწილი.	1. კბილების იზოლაცია 2. კბილების პრეპარირება 3. დაბჯენისთვის მომზადება (მატრიცის ჩადგმა, სოლის მოთავსება და ა.შ.) 4. კბილების დაბჯენა 5. არაპირდაპირი კონსტრუქციების ფიქსაცია კბილების პროფესიული წმენდის და პროფილაქტიკური პროცედურების ჩატარება	პრაქტიკული პროცედურები
ენდოდონტიური სტომატოლოგიური მულაჟი	მულაჟი (გამჭვირვალე) წარმოდგენილია ზედა-ქვედა ყბის ან ერთეული კბილების სახით. კბილებს აქვს არხოვანი სისტემა, რომელიც შეღებილია (უმეტესად წითლად) და მექანიკური	1. კბილის ღრუს გახსნა 2. არხების ენდოდონტიური დამუშავება 3. არხების დაბჯენა 4. არხების განბჯენა	პრაქტიკული პროცედურები



	დამუშავებისას კვლვიდან საღებავის მოცილება ხდება.	5. არხის მომზადება წვირის საფიქსაციოდ 6. წვირის/ლენტის ფიქსაცია	
მულაჟი პაროდონტიტის სიმულაციით	მულაჟი ზედა/ქვედა ყბაზე მორყეული კბილებითაა წარმოდგენილი, პაროდონტული ჯიბეებით და რეცესიებით, ფურკაციის დაზიანებებით.	პაროდონტული რუკის შევსება: -ზონდირების სიღრმის განსაზღვრა -კლინიკური მიმაგრების დარღვევის განსაზღვრა -რეცესიის სიღრმის განსაზღვრა -რეცესიის ტიპის განსაზღვრა კბილის მორყევის ხარისხის განსაზღვრა -ფურკაციის დაზიანების ხარისხის განსაზღვრა	
იმპლანტაციის სადემონსტრაციო მულაჟი	მულაჟი წარმოდგენილია მყარი მასალისგან დამზადებული ქვედა/ზედა ყბის უკბილო მიდამოთი, ძვალში ფიქსირებული იმპლანტით, ხუფით, მაფორმილებლით ან აბატმენტით		
სადემონსტრაციო ორთოდონტიული მულაჟი	ზედა და ქვედა ყბის მოდელი, კბილებზე ფიქსირებული სხვადასხვა ტიპის ბრეის-სისტემებით		